171
955

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

## 1

იანვარი

პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი—1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 5645—ბოლნისის ქართულ საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 3
2. Приказ № 5759—Об улучшении подготовки, распределения и использования специалистов с высшим и средним специальным образованием. . . . . . . 9
3. ბრძანება № 5742—ზუგდიდის რაიონის ოქტომბრის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიანი სკოლის შესახებ . . . 16
4. ბრძანება № 5748—უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა III სამეცნიერო-მეთოდიკური სესიის მოწვევის შესახებ . 21
5. დებულება პირველი რესპუბლიკური კონკურსისა „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას" . . . . . . 24
6. მეთოდური მითითებანი უცხო ენაში წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ . . . . . . 31
7. ბრძანება № 178 ქ. თბილისის, წალკის, ლენტეხის და ბოლნისის რაიონების სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . . . . 40

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F 1821

# ბრძანება № 5645

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1954 წლის 8 დეკემბერი

ბოლნისის ქართულ საშუალო სკოლაში
სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების
შედეგების შესახებ.

გავეცანი რა ბოლნისის ქართული საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამორკვევის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ სკოლაში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. მასწავლებლებმა ლ. ზარქუამ, ს. სოლოღაშვილმა და ქ. ელიაურმა სწორად გაიგეს მათ წინაშე დასმული ამოცანები, გარკვეული წარმატებები მოიპოვეს მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ მეცნიერების საფუძვლების დაუფლების საქმეში.

მაგრამ იმის გამო, რომ ზოგიერთი მასწავლებელი სათანადო პასუხისმგებლობით არ ასრულებს თავის მოვალეობას, არ იმაღლებს კვალიფიკაციას, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას და სხვ. სუსტად არის დაყენებული მთელი რიგი სასწავლო დისციპლინების სწავლება.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ფიზიკის სწავლება (მასწავლებლები — შ. ბაკურაძე და ც. დოლიძე). არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები და სადემონსტრაციო ცდები. მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას უჭირს კანონებისა და ცნებების სიტყვიერი ფორმულირება. მოსწავლეები არ არიან გარკვეული ფიზიკურ მოვლენათა კანონზომიერებაში და არ შესწევთ უნარი მიღებული თეორი-

სახელმწ.
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა. დაბალ დონეზე არის დაყენებული ტექნიკური წრეების მუშაობა.

ქიმიასა და ბიოლოგიაში არ არის ცალკე კაბინეტები, ამის გამო პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები ამ საგნებშიც იშვიათად ტარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტად ისწავლება ბუნებისმეტყველება IV კლასში (მასწავლებელი თ. თოფურიძე). მოსწავლეებმა არ იციან განვლილი მასალა, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ბუნების მოვლენების მარტივ საკითხებზე. მასწავლებელი სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის. ახალი მასალის ახსნისას მან მოსწავლეებს პრაქტიკულად ვერ დაუმტკიცა, რომ თბილი ჰაერი ცივ ჰაერზე მსუბუქია.

დაწყებით კლასებში ფორმალურად ტარდება ხელგარჯილობის გაკვეთილები. საჭირო ღონისძიებები არ არის გატარებული ამ საგნის სწავლების გასაუმჯობესებლად და საგნის მასწავლებლები სრული უპასუხისმგებლობით ეკიდებიან მის სწავლებას.

II კლასში (მასწ. ზუგულიანი) 22 მოსწავლიდან ხელგარჯილობის გაკვეთილზე 18 მოსწავლე უსაქმოდ იყო.

სკოლაში არ წარმოებს გეგმიანი მუშაობა. დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგეების სამუშაო გეგმები არ ითვალისწინებენ სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის აქტუალურ საკითხებს და გატარებული ღონისძიებების აღრიცხვაც არ წარმოებს.

სუსტია შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგეები იშვიათად ესწრებიან გაკვეთილებს. სკოლის დირექტორს ამხ. დ. სტეფანიას მოსმენილი აქვს 52 გაკვეთილი, პირველ სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. ვ. ცქვიტინიძეს 70 გაკვეთილი და მეორე სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. ქ. ელიაურს — 38 გაკვეთილი.

ჩანაწერებში გვხვდება ენობრივი შეცდომები და გაუმართავი წინადადებები. გაკვეთილების ანალიზები ზერელეა.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. სხდომები მოუმზადებლად ტარდება. პედსაბჭოს მუშაობის გეგმა ნაკლებად ითვალისწინებს სასწავლო-

აღმზრდელობითი მუშაობის აქტუალურ საკითხებს. პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე დღემდე არ არის განხილული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობის საკით[illegible] ოქმის წიგნი დაუნომრავი, ზონარგაუყრელი, დაულუქავი და შეუმოწმებელია. ამოღებულია რამდენიმე ფურცე[illegible] ხელს არ აწერენ მასწავლებლები, თავმჯდომარე და [illegible] განხილული საკითხების შესახებ მიღებული ღონისძიებები ზერელეა და ისინი ვერ დაეხმარება სკოლას და მასწავლებელს მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასის ხელმძღვანელთა უმრავლესობა უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, საფუძვლიანად არ სწავლობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებას და არ მუშაობს მათთან, არ სწავლობს მოსწავლეთა ჩამორჩენის და უდისციპლინობის მიზეზებს და არ ატარებს საჭირო აღმზრდელობით ღონისძიებებს. კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები ერთფეროვანია და არავინ ზრუნავს მათ შესრულებაზე. ამის შედეგია ის, რომ მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში IX² — კლასში (ხელმძღვანელი ვ. უგრეხელიძე) მოსწავლეთა მხოლოდ 21,5% ასწრებს. VI² კლასში (ხელმძღვანელი ნ. მოსიაშვილი)—23%, VIII² და VIII³ კლასებში (ხელმძღვანელები ე. სოლოღაშვილი, მ. ბორაშვილი) 35,6%, VI³ კლასში (ხელმძღვანელი მ. ოგანეზოვი)—38%, VI¹ კლასში (ხელმძღვანელი კობერიძე)—43% და ა. შ. სკოლის საერთო მოსწრება 55,3%-ს უდრის.

სკოლაში შექმნილია მხოლოდ სამი საგნობრივი მეთოდური კომისია და ერთი საკლასო გაერთიანება (პირველი კლასები). დანარჩენი საგნების მასწავლებლებთან არავითარი მეთოდური მუშაობა არ წარმოებს.

პედსაბჭოსა და მეთოდკომისიების სხდომებზე არ იხილება სწავლების მეთოდების, იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, მეორეწლიანობასთან ბრძოლის საკითხები და არ ტარდება მოხსენებები პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და ზოგადი და კერძო მეთოდიკის საკითხებზე, არ წარმოებს გამოცდილების ურთიერთ გაზიარება და სხვ.

სკოლაში სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სასკოლო დოკუმენტების წარმოებას: პირველი მეოთხედის აკადემიური წარმატების ფურცლები უსუფთაოდ არის შევსებული, წარმატების ნიშნები ამოფხეკილი და გადასწორებულია, ხელს არ აწერენ საგნის მასწავლებლები. უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას. სკოლის დირექცია არ ამოწმებს ნიშნების წერის ობიექტურობას. მაგ., გასულ სასწავლო წელს XI კლასის მოსწ. ლ. ისიანს IV მეოთხედის მანძილზე საკლასო ჟურნალში სრულებით არ უწერია შეფასება ალგებრაში, ისტორიასა და გერმანულ ენაში, გეომეტრიასა და ფიზიკაში კი ნიშანი „2“ აქვს მიღებული. მეოთხე მეოთხედის ნიშანი კი ალგებრაში, გეომეტრიასა და ფიზიკაში დაეწერა „3“, ისტორიასა და გერმანულ ენაში — „4“.

დარღვეულია საგამოცდო ინსტრუქცია საშემოდგომო გამოცდების ჩატარების შესახებ. I—II კლასების მოსწავლეები ქართულ ენასა და არითმეტიკაში გამოუცდია კომისიას. საგაზაფხულო დავალებამიცემულ მოსწავლეთა ნაწერები სკოლაში არ ინახება. საგამოცდო ოქმებში წარმატების ნიშნები გადასწორებულია, ოქმები ხშირ შემთხვევაში დაუთარიღებელია.

არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება საკლასო ჟურნალების წარმოებას, არ ხდება გაცდენა-დაგვიანების ზუსტი აღრიცხვა. მაგ., 25 ნოემბერს პირველ გაკვეთილზე დაიგვიანა 57 მოსწავლემ, საკლასო ჟურნალში კი აღრიცხეს მხოლოდ 19 მოსწავლე. პირველი მეოთხედის წარმატების ნიშნები ყველა მოსწავლის მშობლამდის არ არის დაყვანილი. სისტემატურად არ ჯამდება კვირეული გაცდენები. საგნის მასწავლებლებს ჟურნალებში არ შეაქვთ საკონტროლო წერის ნიშნები, დასამუშავებელი მასალა იწერება გაუგებრად. წარმატების ნიშნები ბევრგან ამოფხეკილი, გადასწორებული და ამოშლილია.

კლასის ხელმძღვანელებს ცნობები მეოთხედური წარმატებების ფურცლებში არ შეაქვთ საკლასო ჟურნალების ჩანაწერების მიხედვით. მაგ., V[1] კლასის ხელმძღვანელს თ. კობერიძეს I მეოთხედის წარმატების ფურცელში შეტანილი აქვს გაცდენები საპატიო მიზეზით 253, არასაპატიო —262 საათი. ფაქტიურად ამ კლასში 1/IX-დან 6/XI-მდე გაცდენილი იყო



ეროვნული ბიბლიოთეკა

საპატიო მიზეზით 436 საათი, არასაპატიო მიზეზით 17[illegible] საათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილების ცხრილი არ არის შედგენილი გა[illegible] სამინისტროს მითითების საფუძველზე. ადგილი [illegible] ასათვისებელი საგნების მე-6 გაკვეთილზე ჩა[illegible] დაწყვილების შემთხვევებს.

სკოლაში არ არის მასწავლებელთა პირადი საქმეები. მოსწავლეთა პირადი საქმეებიც მოუგვარებელია, ბევრ პირად საქმეში არ რის დაბადების მოწმობა. XI კლსის 13 მოსწავლეს აკლია დაბადების მოწმობა. პედაგოგიური დახასიათებები ზერელედ იწერება.

სუსტია დირექტორისა და მასწავლებლების დახმარება მოსწავლეთა კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებზე. კლასის ხელმძღვანელები არ ესწრებიან რაზმის შეკრებებს და უშუალო მონაწილეობას არ ღებულობენ მათი სამუშაო გეგმების შედგენაში. ცუდად ფორმდება რაზმის დღიურები. პიონერთა უმრავლესობა არ ატარებს ყელსახვევს.

მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცებისათვის ჯერ კიდევ არ ტარდება ერთიანი აღმზრდელობითი ღონისძიებები. ხშირია გაკვეთილებზე მოსწავლეთა მოუმზადებლად გამოცხადების, დაგვიანების, გაცდენის, გაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევები. მაგ. V[1] კლასში (კლასის ხელმძღვანელი კობერიძე) 15/XI-დან 21/XI-მდე მოსწავლეების მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 172 გაკვეთილი; VIII[1] კლასში (ხელმძღვ. ც. დოლიძე) 22/X-ს ანატომიის გაკვეთილიდან გაიპარა 11 მოსწავლე. მოსწავლეთა დისციპლინის დარღვევის მრავალი შემთხვევის მიუხედავად დირექცია და კლასის ხელმძღვანელები მხოლოდ დასჯის ღონისძიებების გატარებით კმაყოფილდებიან. სუსტად მუშაობს მშობელთა კომიტეტი.

რაიონის განათლების განყოფილება ნაკლებ დახმარებას უწევს სკოლას სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბოლნისის ქართული საშუალო სკოლის ხელმძღვანელობამ:

ა) უზრუნველყოს სკოლაში დისციპლინის განმტკიცების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1953 წლის 1 ივლისისა და 1953 წლის 3 ნოემბრის № 1581 და № 4489 ბრძანებით დასახული ღონისძიებების [illegible] გატარება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყოს სასწავლო კაბინეტების საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და დგამ-ავეჯით მომარაგება-შევსება;

გ) ყოველდღიური ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორციელოს სასკოლო მოსწავლეთა ორგანიზაციების მუშაობაზე;

დ) სრულ წესრიგში მოიყვანოს სასკოლო დოკუმენტები და უზრუნველყოს მათი დაცვა;

ე) ჩამოაყალიბოს ციკლური მეთოდკომისიები და დააწესოს სისტემატური კონტროლი მათ მუშაობაზე;

ვ) უზრუნველყოს სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ჯანმრთელობის საექიმო შემოწმება.

2. საგნის არადამაკმაყოფილებელი სწავლების გამო ფიზიკის მასწავლებელს შ. ბაკურაძეს, IV კლასის მასწ. თ. თოფურიძეს და II კლასის მასწავლებელ ნ. შხუგულიანს მიეთითოთ.

3. მასწავლებლების ყოველდღიური მუშაობისადმი სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის სასწავლო ნაწილის გამგე ფ. ცქვიტინიძეს და ქ. ელიაურს მიეთითოთ.

4. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის ბოლნისის ქართული საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. დ. სტეფანია განთავისუფლდეს თანამდებობიდან.

5. განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ა. სტეფანიამ II მეოთხედის ბოლოს შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მდგომარეობა.

6. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ბოლნისის რაიონის სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 5759

## ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

1954 г. 16 декабря

**Об улучшении подготовки, распределения и использования специалистов с высшим и средним специальным образованием**

Центральный Комитет КП Грузии и Совет Министров Грузинской ССР в постановлении от 23 ноября 1954 года за № 1073 «О мероприятиях по улучшению подготовки, распределения и использования специалистов с высшим и средним специальным образованием по Грузинской ССР» отметили, что в деле подготовки, распределения и использования специалистов — выпускников высших и средних специальных учебных заведений по Грузинской ССР имеются серьезные недостатки: в подготовке специалистов все еще не достигнуто необходимой плановости; Министерства и ведомства недостаточно правильно определяют действительную потребность в специалистах для отдельных отраслей народного хозяйства, представляя малообоснованные заявки на оканчивающих ВУЗ-ы и средние специальные учебные заведения; планирование приема учащихся в ВУЗ-ы республики также не стоит на должной высоте и не согласовано с потребностями народного хозяйства в специалистах; качество подготовки специалистов далеко не отвечает современным требо-

ваниям и уровню развития техники в народном хозяйстве; слабо поставлено производственное обучение студентов и учащихся специальных средних учебных заведений, в результате чего многие молодые специалисты недостаточно подготовлены для работы на производстве. Материальная база учебных заведений отстает от роста контингента учащихся и сдерживает дальнейшее расширение подготовки специалистов по дефицитным специальностям.

ЦК КП Грузии и Совет Министров Грузинской ССР также отметили, что руководители многих Министерств, ведомств и предприятий не оказывают молодым специалистам должной помощи в овладении техникой и экономикой производства и допускают неправильное их использование. Многие молодые специалисты длительное время используются на должностях, не требующих специального образования, или направляются на работу после окончания высшего учебного заведения в управленческий аппарат. Молодым специалистам зачастую не создаются нормальные жилищно-бытовые условия.

В целях устранения отмеченных недостатков и улучшения подготовки и использования специалистов ЦК КП Грузии и Совет Министров Грузинской ССР:

1. Обязали Министерство просвещения Грузинской ССР:

а) до 1 февраля 1955 года разработать и внести в Совет Министров Грузинской ССР предложения по укрупнению педагогических институтов, самостоятельное существование которых не вызывается необходимостью, а также пересмотреть состав факультетов и специальностей педагогических институтов республики с целью приближения их к потребностям народного хозяйства и культуры, ликвидации ненужного параллелизма в подготовке специалистов;

б) наметить мероприятия по повышению качества обучения студентов педагогических институтов в лабораториях и учебных мастерских, для чего в 1954—1957 г. г. организовать во всех педагогических вузах учебные мастерские;

ეროვნული ბიბლიოთეკა

в) обеспечить дальнейшее серьезное улучшение научно-исследовательской и методической работы в педагогических институтах, подчинив ее задачам повышения научной квалификации преподавателей, подготовки молодых научных кадров, создания учебников и улучшения учебной работы, а также более широкого участия профессоров и преподавателей педвузов в решении важнейших научных проблем;

г) распределение молодых специалистов-выпускников педагогических институтов, за исключением специальности «физкультура и спорт», проводить в соответствии с планом междуведомственного распределения специалистов не позднее, чем за 3 месяца до окончания ими учебных заведений; при направлении молодых специалистов на работу установить строгий контроль за своевременным прибытием их к местам назначения, итоги распределения молодых специалистов обсуждать на заседании коллегии и о результатах докладывать ЦК КП Грузии и Совету Министров Грузинской ССР;

д) в целях укрепления учебно-материальной базы педагогических училищ предусмотреть в планах на 1956—1960 г. г. необходимые капиталовложения с тем, чтобы довести к 1960 году учебную площадь на каждого учащегося до 4—5 кв. метров;

е) учитывая наличие значительного количества учителей 5—11 классов средних школ, не имеющих соответствующего образовательного ценза и нуждающихся в повышении квалификации, сохранить для этой категории педагогов существующие заочные отделения при Тбилисском и Кутаисском педагогических институтах.

2. Обязали Госплан Совета Министров Грузинской ССР и Министерство просвещения Грузинской ССР предусмотреть в проектах народно-хозяйственных планов на 1956—1960 г. г. необходимые капитальные вложения на оборудование педагогических институтов и средних педагогических учебных заведений, имея в виду систематическое укрепление их материально-технической базы.

3. Обязали руководителей министерств, ведомств и предприятий:

а) создать для учащихся вечерних и заочных высших и средних специальных учебных заведений (факультетов) необходимые условия для непрерывной и нормальной учебной работы, предоставлять этим учащимся дополнительные оплачиваемые отпуска;

б) переводить молодых специалистов, окончивших вечерние и заочные высшие и средние специальные учебные заведения, на работу в соответствии с полученной специальностью и квалификацией.

4. Обязали Министерства и ведомства Грузинской ССР в двухмесячный срок разработать и представить в Совет Министров Грузинской ССР на утверждение номенклатуру должностей, подлежащих замещению специалистами с высшим и средним специальным образованием.

5. Обязали Госплан Совета Министров Грузинской ССР, на основе разработанной министерствами и ведомствами номенклатуры должностей, составить расчеты перспективной потребности в кадрах с высшим и средним специальным образованием на 1956—1960 г. г. для представления в Госплан СССР и Министерство высшего образования СССР.

6. Обязали Министерство просвещения Грузинской ССР, Министерство местной промышленности Грузинской ССР, Министерство культуры Грузинской ССР,

Министерство здравоохранения Грузинской ССР, Министерство сельского хозяйства Грузинской ССР, Министерство финансов Грузинской ССР, Министерство торговли Грузинской ССР, Министерство промышленности продовольственных товаров Грузинской ССР, Министерство промышленных товаров широкого потребления Грузинской ССР, Министерство водного хозяйства Грузинской ССР и Цекавшири: а) предусматривать в годовых планах значительное расширение приема учащихся в средние специальные учебные заведения из числа лиц, окончивших 11 классов средней школы.

б) Довести в 1955—1956 г. г. прием лиц, окончивших 11 классов средней школы, не менее, чем до 60% от общего числа принимаемых в средние специальные учебные заведения.

7. Довели до сведения министерств и ведомств Грузинской ССР:

а) установить с 1 января 1955 года, в пределах лимита Министерства по труду, постоянный штат технического, инструкторского и обслуживающего персонала учебных мастерских, с отнесением содержания его на государственный бюджет;

б) разрешить директорам высших и средних специальных учебных заведений выплачивать студентам единовременное пособие в случае острой необходимости. Установить для этих целей фонд директора в размере 0,2% стипендиального фонда данного учебного заведения;

в) установить, что молодые специалисты, после окончания высших и средних специальных учебных заведений, обязаны проработать не менее 3 лет непосредственно на производстве: в цехах предприятий, в МТС, совхозах, колхозах, больницах, школах и т. д. в соответствии с назначением министерства (ведомства);

г) установить что молодые специалисты обеспечиваются жилой площадью предприятием (учреждением), в которое они направлены при распределении.

Молодые специалисты, направляемые на работу в учреждения просвещения, культуры, здравоохранения, торговли, суда и прокуратуры, в случае отсутствия ведомственной жилой площади, обеспечиваются жилой площадью местными Советами депутатов трудящихся.

Во исполнение постановления Центрального Комитета КП Грузии и Совета Министров Грузинской ССР № 1073 от 23 ноября 1954 года, в целях устранения недостатков и улучшения подготовки распределения и использования специалистов с высшим и средним педагогическим образованием приказываю:

1. Начальникам соответствующих управлений и отделов Министерства просвещения Грузинской ССР, Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, Зав. отделом народного образования Юго-Осетинской Автономной области и всем зав. городскими и районными отделами народного образования, директорам педагогических институтов и педагогических училищ принять к руководству и неуклонному исполнению указанное постановление ЦК КП Грузии и Совета Министров Грузинской ССР.

2. Начальникам Управлений планово-финансового и педагогических институтов и училищ и отдела кадров Министерства просвещения Грузинской ССР:

а) устранить недостатки в планировании, подготовке и распределении специалистов с высшим и со средним педагогическим образованием и принять необходимые меры по приведению количества выпускаемых специалистов в соответствии с потребностями на них;

б) к 20 января 1955 года составить для представления в Госплан Совета Министров Грузинской ССР номен-

клатуру должностей, подлежащих замещению специалистами с высшим и средним специальным образованием.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. Начальнику отдела кадров Министерства просвещения Грузинской ССР:

а) проводить распределение оканчивающих высшие и средние педагогические учебные заведения не позднее чем за три месяца до окончания ими учебных заведений, обеспечить предварительное изучение молодых специалистов и ознакомление их с характером и задачами предстоящей работы. Не допускать устройство молодых специалистов на работу по необоснованным просьбам организаций и отдельных лиц. Установить контроль за своевременным прибытием специалистов к местам назначения;

б) переводить молодых специалистов, окончивших вечерние и заочные высшие учебные заведения на работу в соответствии с полученной специальностью и квалификацией;

в) для обсуждения на коллегии Министерства просвещения Грузинской ССР ежегодно составлять итоги распределения молодых специалистов со средним и высшим педагогическим образованием;

г) для обеспечения армянских и азербайджанских школ специалистами с высшим образованием, своевременно представлять заявки о потребности в молодых специалистах в Министерства просвещения Армянской и Азербайджанской ССР;

д) совместно с отделом материальных фондов Министерства просвещения Грузинской ССР напечатать в необходимом количестве анкеты, путевки и другие нужные бланки для распределения молодых специалистов.

4. Начальнику Отдела кадров Министерства просвещения Грузинской ССР, Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, Зав. ОблОНО А/О Юго-Осетии, директорам педагогических институтов и педагоги-

ческих училищ, при распределении молодых специалистов, оканчивающих высшие и средние педагогические учебные заведения, руководствоваться Положением о персональном распределении молодых специалистов, оканчивающих высшие и средние специальные учебные заведения, утвержденным приказом № 957 от 5 сентября 1954 года Министерством высшего образования СССР.

5. Начальнику Управления педагогических институтов и училищ (тов. Гвердцители):

а) до 15 января 1955 года разработать и внести на коллегию предложения по укрупнению педагогических институтов, самостоятельное существование которых не вызывается необходимостью;

б) пересмотреть состав факультетов и специальностей педагогических институтов с целью укрупнения и удовлетворения потребности в кадрах для начальных и средних школ Республики;

в) обеспечить дальнейшее улучшение научно-исследовательской и методической работы в педагогических институтах с целью повышения научной квалификации преподавателей, подготовки молодых научных кадров, создания учебников и улучшения учебной работы, а также более широкого вовлечения профессорско-преподавательского персонала в научно-исследовательскую работу для решения важнейших научных проблем;

г) учитывая наличие значительного количества учителей 5—11 классов средних школ, не имеющих соответствующего образовательного ценза и нуждающихся в повышении квалификации, обеспечить максимальное вовлечение в учебу на заочные отделения учителей этой категории, а также в корне улучшить работу заочных отделений Тбилисского и Кутаисского педагогических институтов;

д) предусмотреть в годовых планах значительное расширение приема учащихся в педагогические училища,

из числа лиц, окончивших 11 классов средней школы, доведя прием их не менее чем до 60% от общего числа принимаемых в педагогические училища;

е) довести до директоров педагогических институтов и училищ о разрешении им выплачивать студентам единовременное пособие в случае острой необходимости из соответствующего фонда, указанного в постановлении, разд. 7, § б.

6. Начальникам управлений планово-финансового и педагогических институтов и училищ:

а) наметить мероприятия по повышению качества обучения студентов педагогических институтов в лабораториях и учебных мастерских, для чего в 1954—1957 г. г. организовать во всех педагогических институтах учебные мастерские;

б) создать для учащихся вечерних и заочных высших учебных заведений (факультетов) необходимые условия для непрерывной и нормальной учебной работы, предоставлять этим учащимся дополнительные оплачиваемые отпуска;

г) разработать и до 25 декабря представить на утверждение постоянный штат технического, инструкторского и обслуживающего персонала учебных мастерских, с отнесением содержания его на государственный бюджет.

д) предусмотреть в планах на 1956—1960 г. г. необходимые капитальные вложения с тем, чтобы довести к 1960 году учебную площадь на каждого учащегося до 4—5 кв. метров, а также на оборудование педагогических институтов и училищ.

Зам. Министра просвещения
Грузинской ССР Кизирия В.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 574

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
## 1954 წლის 15 დეკემბერი

### ზუგდიდის რაიონის ოქტომბრის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიანი სკოლის შესახებ

ზუგდიდის რაიონის ოქტომბრის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიანი სკოლის (დირექტორი ვ. შამუგია) მუშაობაში ადგილი აქვს მოუთმენელ ნაკლოვანებებს.

1954/55 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ხსენებული სკოლის მიკრორაიონში აღრიცხულ 15—30 წლის ასაკის 82 ახალგაზრდიდან სწავლებაშია ჩაბმული მხოლოდ 32. მოსწავლეთა ამ რაოდენობაზე გახსნილია 6 (III—VIII) ფინანსიური კლასი.

სკოლაში უხეშადაა დარღვეული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი მუშა და სოფლის ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის შესახებ: განათლების საბუთის მქონე მოსწავლეები, მიუხედავად სწავლაში წყვეტისა, მიღებული არიან უგამოცდოდ, დანარჩენი კი — ყოველგვარი საბუთის გარეშე, პირადი განცხადების საფუძველზე.

სკოლას არ გააჩნია სასკოლო დოკუმენტები: სკოლის წლიური სასწავლო-აღმზრდელობითი, მეოთხედური, დირექტორის კვირეული და კლასის ხელმძღვანელთა მუშაობის გეგმები, ცალკეული საგნების წლიური კალენდარული განრიგები; გაკვეთილების ცხრილი შედგენილია უპასუხისმგებლოდ, საკლასო ჟურნალებად გამოყენებულია რვეულები, დამუშავებული მასალის ჩაწერა არ ხდება, რის გამოც არ ჩანს ჩატარდა თუ არა გაკვეთილი.

სკოლამ პირველი ნოემბრის ნაცვლად მეცადინეობა დაიწყო 3 ნოემბერს, III კლასში კი 1-დან 16 ნოემბრამდე მეცადინეობა ჩატარდა მხოლოდ ერთხელ. საერთოდ, გაკვეთილებზე მოსწავლეთა გამოცხადება არადამაკმაყოფილებელია. შემოწმების დღეს, 16 ნოემბერს, III კლასში არც ერთი მოსწავლე არ გამოცხადებულა. IV კლასში 4 მოსწავლიდან ესწრებოდა 1, VII—7-დან 3, VIII—7-დან 3 და ასე შემდეგ. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო კლასებში გაკვეთილები არ ტარდება; VIII კლასში კი რუსული ენის მასწავლებელი ა. აკოფოვი, მცირე რაოდენობის საათების მიცემით განაწყენებული, გაკვეთილებს არ ატარებს.

მასწავლებლები არ ადგენენ თემატიკურსა და გაკვეთილის გეგმებს, არ მუშაობენ თავის თავზე, რის გამოც ატარებენ დაბალხარისხოვან გაკვეთილებს. მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურულ კითხვაში (მასწ. გრიგოლავა და ქვანია) რუსულ ენაში (მასწ. ქირია) მოსწავლეები, IV-დან VIII კლასის ჩათვლით, მასალის უცოდინარობასთან ერთად ამჟღავნებენ სრულ უწიგნურობას, უჰირთ კითხვა.

ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება (ამხ. შ. ხუბულავა) საჭირო კონტროლსა და დახმარებას არ უწევს სოფ. ოქტომბრის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიანი სკოლის მუშაობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. შ. ხუბულავამ) გააძლიეროს კონტროლი და დახმარება ოქტომბრის სოფლის ახალგაზრდობის რვაწლიანი სკოლის მუშაობაზე, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება.

2. დაევალოს ოქტომბრის სოფლის ახალგაზრდობის რვაწლიანი სკოლის დირექტორს (ამხ. ვ. შამუგიას) გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლისადმი ხელმძღვანელობა, შეინარჩუნოს მოსწავლეთა არსებული კონტინგენტი და მიაღწიოს მის შემდგომ ზრდას; პედაგოგიური კოლექტივის მუშაობისადმი სის-

ტემატური კონტროლითა და დახმარებით უზრუნველყ[illegible] ცალკეული საგნების სწავლების უკეთ დაყენება და [illegible] მთელი საქმიანობის გარდაქმნა.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ [illegible] სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებ[illegible] კანდელაკმა) 1955 წლის 1 თებერვლამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება.

4. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს გადაჭრით გააძლიერონ კონტროლი და დახმარება სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიანი სკოლებისადმი, საკითხი მათი მუშაობის შესახებ პერიოდულად განიხილონ სამინისტროს კოლეგიის ან სახალხო განათლების განყოფილების საბჭოს სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 5743

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

**1951 წლის 15 დეკემბერი**

**უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა III სამეცნიერო-მეთოდიკური სესიის მოწვევის შესახებ.**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 1955 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ქ. თბილისში მოწვეულ იქნეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენის კათედრათა და პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ქართული ენის მეთოდიკის სექტორის III სამეცნიერო-მეთოდიკური სესია შემდეგი დღის წესრიგით:

ა) ქართული ენის სწავლების მდგომარეობა უმაღლეს სასწავლებლებში (სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის, გორის, თბილისის პუშკინის სახ. და თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტების ქართუ-თული ენის კათედრების მოხსენებები);

ბ) უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა სამეცნიერო თემატიკა (უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით);

გ) უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის პროგრამები და სახელმძღვანელოები (სახელმწიფო უნივერსიტეტის ორივე კათედრის, სოხუმისა და სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტების კათედრათა მოხსენებები);

დ) სტუდენტებთან მუშაობა (სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმისა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენის კათედრათა მოხსენებები);

ე) ქართული ენის დიალექტების შესწავლა და დიალექტოლოგიურ მუშაობაში კათედრის წევრთა და მოწინავე სტუდენტთა მონაწილეობა;

3) სამეცნიერო მოხსენებები: 1) ქართული ენის გრამატიკის ძირითადი საკითხები. 2) ენათმეცნიერების დარგები და მათი კვლევა-ძიების მეთოდები.

2. დაევალოს პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებს ა/წლის 31 დეკემბრამდე წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში 1954 და 1955 წლების სამეცნიერო თემატიკა ქართულ ენაში, აგრეთვე იმ სამეცნიერო თემების დასახელება, რომელთა წაკითხვა განზრახული აქვთ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა III სესიაზე.

3. დაევალოს ქუთაისის, გორის, თბილისის პუშკინის სახელობის და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებს უზრუნველყონ სესიისათვის ქართული ენის კათედრის მოხსენების მომზადება თემაზე — „ქართული ენის სწავლების მდგომარეობა პედაგოგიურ ინსტიტუტებში".

4. დაევალოს სოხუმის და სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებს უზრუნველყონ სესიისათვის ქართული ენის კათედრების მოხსენების მომზადება თემაზე — „უმაღლესი სასწავლებლების პროგრამები და სახელმძღვანელოები".

5. დაევალოს ბათუმისა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებს უზრუნველყონ სესიისათვის ქართული ენის კათედრების მოხსენებების მომზადება თემაზე — „სტუდენტებთან მუშაობა".

6. დაევალოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიეროსაკვლევ ინსტიტუტს უზრუნველყოს სესიისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების სექტორის მიერ მოხსენების მომზადება თემაზე — „სამეცნიერო-კვლევითი მუშა-

ტის მდგომარეობა ქართული ენის მეთოდიკაში და მომავალი ამოცანები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ეთხოვოს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ამხ. ვ. დ. კუპრაძე[illegible]ლოს ძველი და ახალი ქართული ენის კათედრებს მოამზადონ სესიისათვის მოხსენებები თემებზე — „ქართული ენის სწავლების მდგომარეობა უნივერსიტეტში“, „უნივერსიტეტის ქართული ენის პროგრამები და სახელმძღვანელოები“, „სტუდენტებთან მუშაობა“, აცნობოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უნივერსიტეტის 1954 და 1955 წლების სამეცნიერო თემატიკა (ქართულ ენაში) და რა სამეცნიერო თემაზე სურთ მოხსენების გაკეთება სესიაზე.

8. უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა III სამეცნიერო მეთოდიკურ სესიაზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნან სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრების გამგეები, კათედრის წევრები და მეთოდიკის ხელმძღვანელები. აგრეთვე პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ისტიტუტის ქართული ენის მეთოდიკის სექტორის მუშაკები.

9. მოსამზადებელი მუშაობა და სესიის ორგანიზებულად ჩატარება (სხდომების ადგილის მომზადება, დღის წესრიგის და მოსაწვევი ბარათების დაბეჭდვა, მონაწილეთათვის ბინისა და კვების საქმის მოგვარება და სხვ.) დაეკისროს სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების სამმართველოს (უფროსი ამხ. გვერდწითელი).

10. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რომ დღის წესრიგში დაისვას მინისტრის ან მისი მოადგილის მოხსენება უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1954 წლის 10 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ბ. კიზირია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი, მოადგილე
მ. ბურჭულაძე
31 დეკემბერი 1954 წ.

# დებულება

### პირველი რესპუბლიკური კონკურსისა „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“.

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური 1955 წლის იანვრიდან 1955 წლის 1 ნოემბრამდე ატარებს პირველ რესპუბლიკურ კონკურსს — „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“.

## 1. კონკურსის მიზანი

საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე მდგარი ამოცანის გადასაწყვეტად, რაც პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებას ითვალისწინებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონკურსს — „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“, რომლის მიზანია:

1. საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების პრაქტიკულ საქმიანობასთან მტკიცე დაკავშირება.

2. სოფლის მეურნეობის საფუძვლებისა და მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიის მიღწევათა გაცნობა.

3. კულტურული მცენარეების, შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოვლის, მოშენების და პროდუქტულობის ზრდის აგროზოოტექნიკური წესების შესწავლა.

4. დახმარების გაწევა სკოლებისათვის სასწავლო-საცდელი ნაკვეთების, ცოცხალი ბუნების კუთხეების და ბუნებისმეტყვე-

ლების კაბინეტების მოწყობასა და შევსებაში (საცდელ-დე-
დაქტიკური მასალების: თესლების, ნერგების, ცხოველების,
ფრინველების და სხვათა მიწოდება).

5. თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადება და სკოლისა
და სკოლის გარეშე დაწესებულებების სასწავლო-მატერია-
ლური ბაზის შევსება.

6. სკოლების, სკოლის გარეშე დაწესებულებათა სანიმუშო
ექსპონატებისა და ნაკეთობათა გამოვლინება, შერჩევა და
წარდგენა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამო-
ფენაზე.

## II. კონკურსში მონაწილეობის პირობები და თემატიკა

1. კონკურსში — „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკო-
ლას“ მონაწილეობის მიღება შეუძლია:

ა) რვაწლიანი და საშუალო სკოლების, პედაგოგიური სას-
წავლებლების და სპეც-სკოლების მოსწავლეებს და საბავშვო
სახლების აღსაზრდელებს;

ბ)) სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებს—პიონერთა
და მოსწავლეთა სასახლეებსა და სახლებს, ნორჩ ტექნიკოსთა
ცენტრალურ. საქალაქო სადგურებს და სხვ.;

გ) პიონერთა რგოლებს, რაზმებსა და რაზმეულებს;

დ) სკოლების ნატურალისტთა წრეებს;

ე) ნორჩ ნატურალისტებს.

2. კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს:

ა) სანიმუშო თვითნაკეთი სასწავლო ხელსაწყოები და
სასოფლო-სამეურნეო იარაღები საბუნებისმეტყველო დის-
ციპლინების (ბოტანიკის, ზოოლოგიის, ადამიანის ანატომიისა
და ფიზიოლოგიის, დარვინიზმის საფუძვლების და სხვ.) და
სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით (მევენახე-
ობა-მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფრინვე-
ლეობა და სხვ.);

ბ) მშობლიური მხარის ფლორისა და ფაუნის ცალკეული
დამახასიათებელი მასალები და ფენოლოგიური დაკვირვებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ნატურალისტთა წრის ან ნორჩი ნატურალისტის სამ-მუშო მუშაობის ამსახველი ცნობები;

დ) სასწავლო საცდელ-ნაკვეთზე, ბუნების ცოცხალ კუ-თხესა და ბუნებისმეტყველების კაბინეტში ჩატარებული მუ-შაობის დამახასიათებელი ექსპონატები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი და ადრე-ული მოსავლიანობის უახლესი მიღწევების ამსახველი ექს-პონატები, აგრეთვე აგროტექნიკური წესების აღწერა, რომელთა განხორციელებამ უზრუნველყო ესა თუ ის თვალსაჩინო მიღწევა;

ვ) მეცხოველეობის და მეფრინველეობის საუკეთესო მიღ-წევების ამსახველი ექსპონატები და ცნობები ამ მიღწევის ზოოტექნიკურ ღონისძიებებზე;

ზ) ი. ვ. მიჩურინის მეთოდების გამოყენების (ჰიბრიდიზა-ცია, შერჩევა და ა. შ.) შედეგად მიღებული სწრაფმწიფადი, ყინვაგამძლე ან სხვა სასარგებლო თვისების მქონე მცენარეები და ამ სამუშაოს მთელი პროცესის სქემატური მასალები.

თ) ტ. დ. ლისენკოს მეთოდით კარტოფილის საგაზაფხუ-ლო დარგვის საუკეთესო შედეგების ამსახველი ექსპონატე-ბი და ამ მეთოდის გამოყენებით მოსავლიანობის ზრდის ცნობები;

ი) მინდორსაცავ ნარგავებზე ცდების დაყენების სანიმუშო ცნობები, ტყესაცავ ზოლებში ან პარკებში ხეხილის ან ტყის ჯიშის ნერგების, ბუჩქების დარგვის შედეგებისა და ტყის ხემცენარეების ხეხილოვან მცენარეებად შეცვლის საუკეთე-სო მასალები (საძირეზე მყნობა, დარგვა და სხვ.);

კ) ოთახის დეკორაციულ მცენარეთა საუკეთესო ეგზემპლა-რები და ვეგეტატური გამრავლების აღწერილობა (ბეგონია, გეორგინა, ფიკუსი, ხრიზანტემა, მიხაკი), აგრეთვე ხეხილ — კენკროვანები: ვაზი, ბროწეული, ლიმონი, მარწყვი, ხენდრო და სხვ.);

ლ) რაიონისათვის დამახასიათებელ მცენარეთა ჰერბარიუ-მები, სათანადო ახსნა-განმარტებით (ადგილობრივი სახელ-წოდების, გავრცელების ადგილის, შეგროვების დროის, შემ-

გროვებლის გვარის აღნიშვნით და მცენარის მნიშვნელობისა და მისი გამოყენების ზუსტი ცნობებით);

მ) სამკურნალო მცენარეთა ჰერბარიუმი ახსნა-განმარტებებით (ადგილობრივი სახელწოდება, გავრცელების ადგილი, გამოყენება ხალხურ მედიცინაში და სხვ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ) მწერთა კოლექციები, სათანადო ახსნა-განმარტებით (ადგილობრივი სახელწოდება, შეგროვების ადგილი, დრო და ვინ შეაგროვა);

ო) ბუნების მოვლენებზე ფენოლოგიური დაკვირვებების მასალები (გაკვირტვა, შეფოთვლა, ნაყოფის მომწიფება და სხვ.) სათანადო აღწერილობით;

პ) ცხოველებზე, ფრინველებისა და მწერების ცხოვრებაზე დაკვირვების აღწერითი მასალები (კურდღელი, მტრედი, აბრეშუმის ჭია, ფუტკარი და სხვ.);

ჟ) სოფლის მეურნეობის მავნე მწერების შესწავლის მასალები და მათ წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლის შედეგები (ცალკეული კულტურებისათვის დამახასიათებელი მავნე მწერების აღნიშვნით);

რ) სანიმუშო და ორგანიზებული ექსკურსიების და ლაშქრობების ამსახველი მასალები მარშრუტების, დამუშავებული და შესწავლილი თემების აღნიშვნით (გეგმა—მარშრუტი, ჰერბარიუმები, კოლექციები, პრეპარატები, ფიტულები, ფრინველთა ბინები).

მაგ., მწერი მისი განვითარების სრული ციკლით (კვერცხი, მატლი, ჭუპრი, გამაფრთხილებელი და მფარველობითი შეფერადების საილუსტრაციო ნიმუშები და სხვ.);

ს) საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მომუშავე შრომის გმირების და მოწინავე ადამიანების მიღწევების სანიმუშო შედეგების თემატიკური და ნატურალური მასალები;

ტ) სას. სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაზე დაყენებული ცდების შედეგები (სასუქების გავლენა, სასათბურო მეურნეობა, ტორფნეშომპალის ქოთნების გამოყენება, კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, გასხვლა და სხვ.); ჩატარებული მუშაობის ზუსტი აღწერილობა და ნატურალური ექსპონატები;

უ) კოლმეურნე მეცნიერის მალცევის მეთოდის გამოყენე-ბით ნიადაგის დამუშავების ცდების შედეგები და წინასწარი დასკვნები ამ მეთოდის საქართველოს ცალკეულ რაიონებში გამო-ყენების უპირატესობათა შესახებ (სოფლის მეურნეობის წინავეთა გამოცდილების გაზიარებით);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ) ფოლკლორული მასალები მოწინავე ადამიანებზე, მცენარეებზე, ცხოველებზე და სხვა. (ხალხური თქმულებები, ლეგენდები, ლექსები, ვიქტორინები და სხვ.);

3. პარტიისა და მთავრობის დადგენილებების, ლიტერატუ-რული წყაროების, ექსკურსიების და ცდა-დაკვირვებების სა-ფუძველზე დამუშავებული თემები:

ა) სექტემბრისა და მომდევნო პლენუმების დადგენილებები სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ და ჩვენი მიღწევები;

ბ) ქარსაცავი და მინდორსაცავი ზოლების გაშენება და მისი მნიშვნელობა;

გ) ყამირი, გვალვიანი და ჭაობიანი ადგილების გამოყენება;

დ) სუბტროპიკული კულტურებისა და მევენახეობა-მეხი-ლეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში.

ე) დარვინი და მისი მოძღვრება. პირველი რუსი დარვი-ნისტი კ. ა. ტიმირიაზევი;

ვ) ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. ვ. მიჩურინი;

ზ) გამოჩენილი რუსი მეცნიერები აკადემიკოსები ი. პ. პავ-ლოვი, მ. თ. ივანოვი, ტ. დ. ლისენკო და სხვა;

თ) პირველი ქართველი ფიზიოლოგი თ. რ. თარხნიშვილი;

ი) ქართველი მიჩურინელები და მათი მიღწევები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დამუშავებულ თემას თან უნდა ახლდეს სათა-ნადო ექსპონატები: მხატვრულად გაფორმებუ-ლი ფარები, ჰერბარიუმები, ალბომები, დიაგრა-მები, ჩანახატები, სველი პრეპარატები, ხელოვ-ნური შერჩევის სქემები და სხვ.

## III. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის იქმნება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი; ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებთან, ოლქის,

ქალაქების და რაიონების განათლების განყოფილებებთან და კონკურსის ჩატარების ხელშემწყობი კომისიები სათანადო კომკავშირული და განათლების ორგანოების, სკოლისგარეშე სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და ქ. თბილისის კონკურსის ხელშემწყობი კომისიები:

ა) ხელმძღვანელობენ რაიონების კონკურსის ხელშემწყობი კომისიების მუშაობას;

ბ) კონკურსისათვის მზადების საქმეში სკოლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად ადგილებზე ავლენენ სპეციალისტებს;

გ) ამ გამოფენიდან შეარჩევენ და 1955 წლის 1 ნოემბრამდე საუკეთესო ექსპონატებს გზავნიან ქალაქ თბილისში ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურში შემაჯამებელ რესპუბლიკურ გამოფენაზე.

3. რაიონებში, ქალაქებში შექმნილი კონკურსის ხელშემწყობი კომისიები:

ა) აცნობენ კონკურსის ჩატარების პირობებს ყველა მოსწავლეს;

ბ) კონკურსის მონაწილეთათვის ატარებენ კონსულტაციებს და უწევენ მათ პრაქტიკულ დახმარებას;

გ) 1955 წლის პირველ ოქტომბრამდე აწყობენ კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრების საქალაქო ან სარაიონო გამოფენას;

დ) გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატებიდან არჩევენ საუკეთესოებს რესპუბლიკური გამოფენებისათვის.

4. სკოლები და სკოლის გარეშე დაწესებულებები და ნორჩი ნატურალისტები, რომლებიც კონკურსში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ, წერილობით აცნობებენ ადგილობრივ ხელშემწყობ კომისიას. წერილში აღინიშნება თუ რამდენი მოსწავლე ებმება კონკურსში, რის გაკეთება და დამზადებაა განზრახული და ვინ ხელმძღვანელობს მათ. ადგილობრივი კომისიები კი საბოლოო ცნობებს უგზავნიან რესპუბლიკურ ორგკომიტეტს ქ. თბილისში.

5. 1955 წლის 1 ნოემბერს შემაჯამებელ გამოფენაზე ქ. თბილისში დაიშვება მხოლოდ ის ნამუშევრები, რომლებიც აკმაყოფილებენ გამოფენის მთავარი კომიტეტის 1954 წლის 7 აპრილის № 19 დადგენილებას „სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთათვის 1954 წლის დამატებით მაჩვენებლების შესახებ“, და ამ დებულების მეორე განყოფილებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს.

## IV. დაჯილდოება

საორგანიზაციო კომიტეტი აჯამებს ადგილზე ჩატარებულ მუშაობას. გამოფენის მასალებიდან შეარჩევს საუკეთესოებს და აჯილდოებს მათ ავტორებს. ჯილდოვდებიან აგრეთვე წრეების ხელმძღვანელები და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებანი, რომლებმაც კონკურსში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს. ამასთან ერთად კომიტეტი აყენებს საკითხს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე სასკოლო დაწესებულებების, ნორჩ ნატურალისტთა წრის ან ნორჩი ნატურალისტის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ წარდგენის შესახებ.

საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, მიასნიკოვის ქ. № 125, ელსმენი 4—05—83. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
მ. ბურჭულაძე
31 დეკემბერი 1954 წ.

## მეთოდური მითითებანი უცხო ენაში წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ

წერას უცხო ენაში საფუძველი ეყრება მე-5 კლასიდან. იგი მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცებისა და შემოწმების ერთერთი საშუალებაა.

უცხო ენაში ტარდება საკლასო, საშინაო და საკონტროლო წერითი სამუშაოები. ისინი წარმოადგენენ ერთმანეთზე დამოკიდებულ, ერთიან პროცესს. საშინაო წერითი სამუშაო საკლასო წერითი მუშაობის გაგრძელებაა, ხოლო საკონტროლო წერითი სამუშაოების ჩატარებით მოწმდება მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნა-ჩვევები.

საშინაო წერითი სამუშაოებით, რომელსაც მოსწავლეები შინ, დამოუკიდებლად ასრულებენ, მტკიცდება გაკვეთილზე მიღებული ცოდნა-ჩვევები. საკლასო წერითი სამუშაოებით კი ხდება კლასში ერთ ან რამდენიმე გაკვეთილზე მიღებული ცოდნა-ჩვევების განმტკიცება.

საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოების სისტემატურად შესრულებაზე უნდა დაწესდეს მტკიცე კონტროლი. ამასთანავე მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს შესრულების ხარისხი, როგორც გაკვეთილზე, ისე რვეულების შინ გასწორების გზით.

საკონტროლო სამუშაოების ჩატარებით არა მარტო ჯამდება მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნა ფონეტიკაში, ორთოგრაფიაში, ლექსიკაში, გრამატიკაში, არამედ მოწმდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი. მაშასადამე, საკონტროლო წერითი სამუშაოები ტარდება მაშინ, როდესაც ესა თუ ის პროგრამული მასალა მოსწავლეთა მიერ საფუძვლიანად არის დამუშავებული. მთელი რიგი საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ ე. ი. საკონტროლო წერით მუშაობას წინ უძღვის საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოები.

საკონტროლო წერითი სამუშაოებისათვის მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს უფრო დამახასიათებელი მაგალითები; ამასთან ერთად იგი არ უნდა იყოს შინ ან კლასში ჩატარებულ წერით სამუშაოებზე ძნელი.

საკონტროლო წერისათვის დანიშნული დღე ცნობილი უნდა იყოს მოსწავლეთათვის. დაუშვებელია მეოთხედის უკანასკნელ გაკვეთილზე საკონტროლო წერით სამუშაოს ჩატარება. საკონტროლო წერაში დაშვებული ტიპიური შეცდომების ანალიზი და გასწორება უნდა მოხდეს მომდევნო გაკვეთილზე საკონტროლო წერის რვეულებშივე.

საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოების გასწორებისას ან საკონტროლო წერითი სამუშაოების შეფასებისას მასწავლებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს ნამუშევარის არამარტო ორთოგრაფიული, სტილისტური, პუნქტუაციური მხარე, არამედ ისიც, თუ რამდენად სუფთად არის შესრულებული ნამუშევარი, როგორია მოსწავლის ხელწერა. საკონტროლო წერითი სამუშაოს შეფასება მასწავლებელმა უნდა შეიტანოს საკლასო ჟურნალში იმ თარიღით, როდესაც ჩაატარა საკონტროლო წერა.

მასწავლებელმა საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოების რვეულები უნდა გაასწოროს თვეში ერთხელ მაინც. გასწორებისას მასწავლებელი შეფასების ნიშანს არ წერს. მხოლოდ აწერს ხელს და აღნიშნავს გასწორების თარიღს.

### საკლასო წერითი სამუშაოები ტარდება:

V კლასში—ყოველ გაკვეთილზე } 5—10 წუთამდე ხანგრძ-
VI—VIII კლ.—კვირაში 2-ჯერ } ლივობით.

IX—XI კლ.—საჭიროების მიხედვით (კვირაში ერთხელ მაინც)—5—15 წუთამდე ხანგრძლივობით. მისი ჩატარების დრო დამოკიდებულია გასავლელ პროგრამულ მასალაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონტროლო წერითი სამუშაოები უნდა ჩატარდეს შემდეგი რაოდენობით:

| მეოთხედები / კლასები | I | II | III | IV | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| V კლასი | 1 | 2 | 2 | 2 | 7 |
| VI—VIII კლ. | 2 | 2 | 2 | 2 | 8 |
| IX კლ. | 2 | 1 | 2 | 1 | 6 |
| X კლ. | 2 | 1 | 2 | 2 | 7 |
| XI კლ. | 2 | 1 | 2 | 1 | 6 |

მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ სამი რვეული: სიტყვარისათვის, საკლასო-საშინაო სამუშაოებისათვის და საკონტროლო წერითი სამუშაოებისათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მე-5 კლასში რვეული სიტყვარისათვის შემოღებულ უნდა იქნას შესავალი კურსის დამთავრების შემდეგ.

საკონტროლო წერითი მუშაობის ჩატარებისას მასწავლებელმა დაფაზე უნდა დაწეროს თარიღი, საკონტროლო სამუშაოს სახე (კითხვა-პასუხი, გამოტოვებული ადგილის შევსება და ა. შ.) და თემა (თუ კი მისი დასახელება შესაძლებელია).

### საკონტროლო წერით სამუშაოებს უნდა დაეთმოს:

V—VI კლ.—20—25 წუთი
VII—VIII კლ.—25—30 წუთი
X—XI კლ. 35 40 წუთი

(აქ ნაგულისხმევია თვით წერის პროცესის ხანგრძლივობა მოსამზადებელი დროის ჩაუთვლელად).

წერითი სამუშაოების სახეები შეიძლება განმეორებულ იქნას მომდევნო კლასებში, მაგრამ უფროს კლასებში მუშა-

ობა ჩატარდება შედარებით ძნელ მასალაზე და უცხო[illegible]-ლი ფორმით.

რადგანაც უცხო ენაში გარკვეული სხვაობაა ბეჭდურ შრიფტსა და ხელნაწერს შორის, მე-5 კლასებში [illegible] ყურადღება უპირველეს ყოვლისა ამ მიმართულებით უნდა გამახვილდეს. ამისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას დაფიდან ხელნაწერის და წიგნიდან ბეჭდური ტექსტის გადაწერა. მიზანშეწონილია აგრეთვე ცალკეული ასოების, მარცვლებისა და სიტყვების ზეპირად და კარნახით წერა.

უცხო ენაში ძირითადად გამოყენებულ უნდა იქნას მხედველობითი, ახსნითი და სმენითი კარნახი.

მხედველობითი კარნახი მოსწავლეებში ტექსტის ყურადღებით გადაწერის ჩვევების გამომუშავების კარგი საშუალებაა. კარნახის ეს სახე, რომელიც ძირითადად მეხუთე კლასში გამოიყენება, შემდეგში მდგომარეობს: მოსწავლე კითხულობს სიტყვას ან ფრაზას, შემდეგ ხურავს წიგნს და წერს მას.

ახსნითი კარნახისას სიძნელეთა გამოვლინებასა და ახსნაში მთელი კლასი აქტიურად მონაწილეობს. კარნახის ეს სახე გამოიყენება სწავლების ყველა საფეხურზე. ახსნითი კარნახის ჩატარების დროს მოსწავლეები, დაწერის წინ, აკეთებენ თითოეული სიტყვის ან წინადადების დეტალურ ანალიზს.

სმენითი კარნახის გამოყენება იწყება მე-5 კლასში წლის ბოლოს და გრძელდება სწავლების მთელ საფეხურზე. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის სიძნელეები, რომლებსაც მოსწავლეები ხვდებიან სმენითი კარნახის შესრულების დროს და პირველ ხანებში იგი ჩატარებულ უნდა იქნას მხოლოდ საკლასო წერითი სამუშაოს სახით.

საკონტროლო წერითი მუშაობისას კარნახის ამ სახეებიდან გამოიყენება მხოლოდ სმენითი კარნახი. კარნახისათვის მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს შესწავლილი ტექსტის მოკლე შინაარსი ან შეადგინოს ნაცნობ ლექსიკაზე აგებული ახალი ტექსტი.

კარნახისათვის შერჩეული ტექსტის წინასწარ და საბო-

ლიად მთლიანად წაკითხვა აუცილებელია სწავლების ყველა ეტაპზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონტროლო კარნახის ჩასატარებლად კლასების მიხედვით გათვალისწინებულია სიტყვათა შემდეგი რაოდენობა:

V კლ.—15—20 სიტყვამდე
VI კლ.—20—25 —„—
VII კლ.—25—35 —„—
VIII კლ.—35—40 სიტყვამდე
IX კლ.—40—45 „
X კლ.—45—50 „
XI კლ.—50—60 „

(სიტყვების საერთო რაოდენობაში არ შედის დამხმარე სიტყვები).

საკონტროლო კარნახის ჩატარებისას მოსწავლეებს ზოგჯერ უნდა მიეცეს ფონეტიკური, ორთოგრაფიული, გრამატიკული ან ლექსიკური ხასიათის დამატებითი სამუშაო. ამ შემთხვევაში სიტყვათა რაოდენობა დავალების სიძნელის შესაბამისად უნდა შემცირდეს.

თარგმნა, როგორც მშობლიური ენიდან უცხო ენაზე, ისე უცხო ენიდან მშობლიურზე წარმოებს ყველა კლასში. მასწავლებელი მთელ კლასს აძლევს ერთ ან რამდენიმე წინადადებას სათარგმნელად. მოსწავლეთა მიერ თარგმანის შესრულების შემდეგ დაფასთან გამოდის ერთი მოსწავლე, რომელიც წერს თარგმანს. ამასთან საჭიროა აქვე მოხდეს ორთოგრაფიული, ლექსიკური და გრამატიკული შეცდომების ახსნა.

X—XI კლასებში რეკომენდებულია საკონტროლო თარგმანის ჩატარება უცხო ენიდან მშობლიურ ენაზე: საკონტროლო თარგმნა ტარდება უცნობ ტექსტზე ლექსიკონის გამოყენებით. ჯერ სრულდება სიტყვასიტყვითი თარგმანი, შემდეგ კი იგივე ტექსტის ლიტერატურული თარგმანი.

ქვემოჩამოთვლილი წერითი სამუშაოების სახეები შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც საკლასო და საშინაო, ისე საკონტროლო წერითი სამუშაოების ჩასატარებლად.

## V კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ასოებისა და სიტყვების გადმოწერა დაფიდან.
2. ნაბეჭდი ტექსტის გადმოწერა წიგნიდან.
3. ტექსტის გადაწერა, რომელიც გულისხმობს გადაწერილ წინადადებებში გარკვეული მიზნით [illegible] სიტყვების ხაზგასმას.
4. წინადადებაში გამოტოვებული ადგილების მოცემული სიტყვებით ან გრამატიკული ფორმებით შევსება.
5. კითხვებზე პასუხის გაცემა სახელმძღვანელოს დახმარებით.
6. მტკიცებით ფორმაში მოცემული წინადადების კითხვითსა და უარყოფით ფორმებში გადაყვანა.
7. ნაცნობი სიტყვებისაგან შედგენილი მოკლე წინადადებების უცხო ენიდან მშობლიურზე თარგმნა.
8. მოცემული სიტყვებისაგან წინადადების შედგენა.
9. ნაცნობი სიტყვებისაგან შედგენილი მოკლე წინადადებების მშობლიური ენიდან უცხო ენაზე თარგმნა.
10. ნაცნობი სიტყვებისაგან შედგენილი წინადადებებისა და ცალკეული სიტყვების წერა კარნახით.

## VI კლასი

1. წინადადებაში გამოტოვებული ადგილების მოცემული სიტყვებით ან გრამატიკული ფორმებით შევსება.
2. კითხვის დასმა წინადადებაში გამოყოფილი წევრისათვის.
3. ნაცნობ ლექსიკაზე აგებული მოკლე ტექსტის კარნახით წერა შესწავლილი გრამატიკული და ორთოგრაფიული წესების გამოყენებით.
4. წინადადებაში ზმნის საწყისი ფორმის სათანადო დროში გადაყვანა; არსებითი სახელების ნაცვალსახელებით შეცვლა; არსებითი სახელების მხოლობითი რიცხვიდან მრავლობითში გადაყვანა და სხვა.
5. კითხვებზე პასუხის გაცემა.
6. მოცემული სიტყვებისაგან წინადადების შედგენა.

7. ტექსტის გადაწერა დროის, პირისა ან რიცხვის შეცვლით.

8. ტექსტიდან იმ წინადადებების ამოწერა, რომლებიც შეიცავენ (ერთ ან ორ) შესწავლილ გრამატიკულ ფორმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ნაცნობ ლექსიკასა და გრამატიკულ მასალაზე აგებული წინადადების უცხო ენიდან მშობლიურზე თარგმნა.

10. ნაცნობი სიტყვებისაგან შედგენილი მოკლე წინადადებების მშობლიური ენიდან უცხო ენაზე თარგმნა.

## VII კლასი

1. კითხვებზე პასუხის გაცემა.
2. მარტივი შინაარსის სურათის აღწერა.
3. წინადადების ერთი დროიდან მეორე დროში გადაყვანა.
4. კარნახი განვლილ ლექსიკურ და გრამატიკულ მასალაზე.
5. წინადადების გადაყვანა ამა თუ იმ დროის უარყოფითსა და კითხვით ფორმაში.
6. წინადადების მოქმედებითი გვარიდან ვნებით გვარში გადაყვანა და პირიქით (საკლასო და საშინაო სამუშაო ინგლისურ ენაში).
7. წინადადებაში გამოტოვებული ადგილის მოცემული სიტყვებით ან გრამატიკული ფორმებით შევსება.
8. წინადადების სინტაქსური გარჩევა (ერთი ხაზი გასმის ქვემდებარეს, ორი ხაზი — შემასმენელს და ა. შ.).
9. გოთური შრიფტის ლათინური შრიფტით გადაწერა (გერმანული ენა).
10. ტექსტიდან იმ წინადადებების ამოწერა, რომლებიც შეიცავენ შესწავლილ (ერთ ან ორ) გრამატიკულ ფორმას.
11. ორი წინადადების ერთ წინადადებად გაერთიანება კავშირების საშუალებით (ინგლისური ენა).
12. ნაცნობი სიტყვებისაგან შედგენილი წინადადებების უცხო ენიდან მშობლიურ ენაზე თარგმნა.
13. ნაცნობი სიტყვებისაგან შედგენილი წინადადებების მშობლიური ენიდან უცხო ენაზე თარგმნა.

## VIII კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. კითხვებზე პასუხის გაცემა.
2. წინადადებაში გამოტოვებული ადგილების მო[illegible] ლექსიკით ან გრამატიკული ფორმებით შევსე[illegible]
3. განვლილ მასალაზე აგებული ტექსტის [illegible]
4. წინადადების გადაყვანა ყველა შესწავლილ დროში; მოქმედებითი გვარიდან ვნებით გვარში და პირიქით (ინგლისური და გერმანული ენები); პირდაპირიდან არაპირდაპირ ნათქვამში და პირიქით.
5. წინადადების სინტაქსურად გარჩევა სქემის მიხედვით.
6. სურათის აღწერა.
7. შესწავლილი ლექსიკური და გრამატიკული ფორმების გამოყენებით უცხო ენიდან მშობლიურ ენაზე თარგმნა.
8. პატარა ტექსტების მშობლიური ენიდან უცხო ენაზე თარგმნა.

## IX კლასი

1. მასწავლებლის მიერ მიცემული გეგმის მიხედვით ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემა.
2. კითხვებზე პასუხის გაცემა.
3. განვლილ მასალაზე აგებული ტექსტის კარნახით წერა.
4. წინადადების სინტაქსურად და მორფოლოგიურად გარჩევა.
5. წინადადების გადაყვანა ყველა შესწავლილ დროში; მოქმედებითი გვარიდან ვნებით გვარში და პირიქით (ინგლისური და გერმანული ენები).
6. შესწავლილი ლექსიკური და გრამატიკული ფორმების გამოყენებით უცხო ენიდან მშობლიურზე თარგმნა.
7. მოკლე ტექსტის თარგმნა მშობლიურიდან უცხო ენაზე.
8. გავლილ ტექსტზე კითხვების შედგენა.

## X და XI კლასები

1. კითხვებზე პასუხის გაცემა.

2. პატარა ტექსტის თარგმნა მშობლიურიდან უცხო ენაზე.

3. მხატვრული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის არართული ტექსტის მშობლიურ ენაზე თარგმნა (ლექსიკონის დახმარებით).

4. კარნახით წერა შესწავლილი გრამატიკული და ორთოგრაფიული წესების გამოყენებით.

5. ტექსტის მოკლე შინაარსის დაწერა საკვანძო კითხვების საშუალებით.

6. წინადადების სინტაქსურად და მორფოლოგიურად გარჩევა სქემის მიხედვით.

7. წინადადების გადაყვანა ყველა შესწავლილ დროში, მოქმედებითი გვარიდან ვნებით გვარში და პირიქით.

8. უცხო ენაზე წაკითხულის ან მოსმენილის შინაარსის დაწერა მშობლიურ ენაზე (საკლასო სამუშაო).

9. გავლილ ტექსტზე კითხვების შედგენა.

10. წინადადებაში გამოტოვებული ადგილის ლექსიკური ან გრამატიკული ფორმებით შევსება.

სკოლების სამმართველოს უფროსი: გ. საყვარელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 178

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1955 წლის 19 იანვარი

**ქ. თბილისის, წალკის, ლენტეხის და ბოლნისის რაიონების სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ.**

აღვნიშნავ, რომ ქ. თბილისის, წალკის, ლენტეხის და ბოლნისის რაიონების ზოგ სკოლაში პარტიის XIX ყრილობის დირექტივებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე წარმატებით მზადდება ნიადაგი საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლისათვის. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა. საბუნებისმეტყველო და მათემატიკური დისციპლინების სწავლებისათვის მოეწყო კაბინეტები, სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, სასწავლო სახელოსნოები. გაუმჯობესდა აღნიშნულ დისციპლინებში მასწავლებელთა შემადგენლობა, ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე, განმტკიცდა კავშირი სკოლასა და წარმოებას შორის. მოსწავლეებში თანდათან ინერგება შრომისადმი სიყვარული. საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ბევრი ახალგაზრდა კარგად ერკვევა ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკულ საკითხებში.

ქ. თბილისის სკოლების მასწავლებლებიდან შემოქმედებითი მუშაობით გამოირჩევიან: ფიზიკის მასწავლებელი ა. შაგინიანი (78-ე საშუალო სკოლა), რომელიც მოხდენილად უკავშირებს ფიზიკის თეორიულ მასალას პრაქტიკას, ნერგავს მოსწავლეებში ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების პრაქტიკულად გა-

მოყენების ჩვევებს და კარგად ხელმძღვანელობს ტექნიკური წრეების მუშაობას სკოლაში. ქიმიის მასწავლებელი თ. [illegible]ტაშვილი (29-ე საშუალო სკოლა), გამართულად ატარებს ლაბორატორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობებს, აცნობს მოსწავლეებს ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის, წარმოების ძირითად პრინციპებს. ბიოლოგიის მასწავლებლებმა ა. ბოიაჯიანმა და ე. გოდუნოვამ (78-ე საშუალო სკოლა) სანიმუშოდ მოაწყეს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, გამართულად ატარებენ იქ მოსწავლეთა პრაქტიკულ მეცადინეობებს და ორგანიზებულად აწყობენ მოსწავლეთა ექსკურსიებს მახლობელ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. მათემატიკის მასწავლებელი გ. სიმონია (70-ე საშუალო სკოლა) დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა მიერ გეომეტრიული სხეულების მოდელების დამზადებას და პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნას.

აღსანიშნავია საშეფო ორგანიზაციების დახმარება რიგ სკოლებზე. მაგალითად, ქ. თბილისის 29-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. გიორგაძე) საშეფო ორგანიზაციების დახმარებით გაძლიერდა სკოლის სასწავლო მატერიალური ბაზა და მკვიდრი საფუძველი შეექმნა პოლიტექნიკურ სწავლებას.

მიუხედავად ამისა, სკოლების მუშაობა ამ მხრივ არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება.

წალკის რაიონის ჯინისის საშუალო სკოლაში (დირექტორი ე. ილიჯევი, მასწ. ს. ენოხოვა) ფიზიკის სასწავლო მატერიალური ბაზის მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით გაუარესდა. დაიკანგა და მწყობრიდან გამოვიდა რამდენიმე ათეული ხელსაწყო-იარაღი. ამავე რაიონის გუმბათის საშუალო (დირექტ. კ. გაბისონია), გუნიაკალის (დირექტ. ვ. აივაზოვი) და ბაშკოვის (დირექტ. ვ. მელიქოვი) რვაწლიან სკოლებში, ბოლნისის რაიონის არახლოს (დირექტორი მ. ასლანოვი), ლენტეხისა (დირექტ. კ. ჩაკვეტაძე) და ლენტეხის რაიონის ქახუნდრის (დირექტ. ე. ხაბულიანი) საშუალო სკოლებში ფიზიკის კაბინეტები ღარიბია, შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული და ხელსაწყოების მოვლა-პატრონობას ნაკლები ყურადღება ექცევა. ასევე, ფიზიკის კაბინეტისათვის შესაფერისი ბინა არ



ეროვნული ბიბლიოთეკა

გააჩნია ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლას (დირექტ. [illegible] ქობულაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სუსტად არის დაუფლებული ექსპერიმენტის ტექნიკასა და მეთ[illegible] უმზადებლად ატარებს გაკვეთილებს და სხვ[illegible] წალკის რაიონის ჯინისის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ს. ილიჯევმა IX კლასში ძალის დაშლაზე არავითარი სადემონსტრაციო ცდა არ ჩაატარა. ამავე მასწავლებელმა XI კლასში თვითინდუქციის მოვლენა ცდის გარეშე ახსნა. მასწავლებელს არ შეუძლია გალვანომეტრის გამოყენება. ამ სკოლის XI კლასის ფიზიკის მასწავლებელმა პ. ბაიაზოვმა გაკვეთილზე ვერ შესძლო ელექტრომზომი ხელსაწყოს მოქმედების პრინციპის ახსნა გალვანომეტრის გამოყენებით. ამავე რაიონის მოლოტოვის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა მ. კატანოვამ ვერ მოახერხა გაკვეთილზე ელექტროსკოპის მოქმედების პრინციპის დემონსტრირება და ვერ ახსნა რა მიზეზით იშლება ელექტროსკოპში ფურცლები. ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებელი ა. ბიბილური მოუმზადებლად და თვალსაჩინოების გარეშე ატარებს გაკვეთილებს. მან VIII კლასებში ელექტრომანქანის სქემა გაკვეთილის პროცესში გადახატა წიგნიდან დაფაზე. ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ვ. სვანიძემ ორთქლის მანქანა და ცენტრალური გათბობა ისე გაიარა, რომ არ გააცნო მოსწავლეებს სკოლის ცენტრალური გათბობა. ძალზე დაბალია ამ სკოლის XI კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე ფიზიკაში (მასწ. ს. მეტრეველი).

ქ. თბილისის 70-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ვ. ხახიაშვილი მცდარ განმარტებებს აძლევს მოსწავლეებს. ამ სკოლის მოსწავლეთა მომზადების დონე ფიზიკაში დაბალია.

ფიზიკის ზოგიერთი მასწავლებელი სავსებით უგულებელყოფს ექსპერიმენტის გამოყენებას სწავლების პროცესში. მაგალითად, ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლები ც. გალუმოვა, ლ. გასპარიანი და ლ. ტერ-სარქისოვა არ იყენებენ გაკვეთილებზე სასწავლო კაბინეტის

ხელსაწყო-იარაღებს. ასეთივე მდგომარეობაა ლენტეხის (მასწ. კ. მუსელიანი) და ლენტეხის რაიონის ქახუნდრის (მასწ. ს. გულბანი) საშუალო სკოლებში. არ არის ს[illegible] სასწავლო მატერიალური ბაზა მთელი შესაძლებლობით გამოყენებული ქ. თბილისის 87-ე (მასწ. დ. ჩხაიძე) [illegible] სკოლაში. ასევე, ყველა დასახელებულ სკოლებში ფიზიკის სწავლების პროცესში გამოუყენებელია სასწავლო კინო-ფილმები, არ მუშაობს მოსწავლეთა ტექნიკური წრეები და სხვ.

მოსწავლეები სუსტად ფლობენ გავლილ პროგრამულ მასალას, არ შეუძლიათ ფიზიკის კანონებისა და დებულებების გააზრებულად გადმოცემა, არ შესწევთ უნარი სკოლაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა.

წალკის რაიონის ჯინისის საშუალო სკოლაში (მასწ. ი. ტერსენოვი) ქიმიის კაბინეტის ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები მოთავსებულია ყოვლად შეუფერებელ ბინაში. კაბინეტი მოუვლელია, აღურიცხავი და არ არის მასწავლებელზე გაპიროვნებული. აუთვისებელია კაბინეტის შესაძენად გათვალისწინებული თანხები, რაც არის კაბინეტში მისი გამოყენებაც არ ხდება სწავლების პროცესში. ამ სკოლის ბუხჰალტერი ვ. იოსიფოვი ლაბორანტად არის გაფორმებული და იგი, როგორც ლაბორანტი არაფერს აკეთებს. მოუვლელია და შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული ქიმიის ხელსაწყო-იარაღები წალკის რაიონის გუნიაკალის და ბაშკოვის რვაწლიან, ლენტეხის რაიონის ქახუნდრის საშუალო, წალკის რაიონის გუმბათისა და მოლოტოვის საშუალო სკოლებში.

ქ. თბილისის 24-ე, 87-ე და 96-ე საშუალო სკოლების ქიმიის კაბინეტებში კლასები მეცადინეობენ, რაც არ იძლევა შესაძლებლობას ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობისა და კლასგარეშე მუშაობის გაშლისათვის.

ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლაში (მასწ. თ. ჯანელიძე) ნაკლები ყურადღება ექცევა ქიმიის ექსპერიმენტის გამოყენებას სწავლების პროცესში. მე-10 კლასში ნახშირორჟანგის თვისებები მასწავლებელმა ცდის გარეშე გააცნო მოსწავლეებს, სკოლაში კი ამის შესაძლებლობა იყო. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მასწ. ა. მახარაძე). სწავლების პროცესში მთელი შესაძლებლობით არ არის გამოყენებული ქიმიის კაბინეტი ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლაში (მასწ. თ. ბუილლიშვილი).

მოსწავლეებს არ შეუძლიათ გააზრებულად აითვისონ ქიმიის კანონები. არ იცნობენ ქიმიის გამოყენების ძირითად მხარეებს წარმოებებსა და სოფლის მეურნეობაში, სუსტი წარმოდგენა აქვთ მნიშვნელოვან წარმოებათა ძირითად პრინციპებზე.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბიოლოგიის სწავლება ქ. თბილისის 24-ე, 36-ე, 58-ე და 87-ე საშუალო სკოლებში. აღნიშნული სკოლების ბიოლოგიის კაბინეტები ღარიბია, მოთავსებულია შეუფერებელ ბინებში, არ არის მოწყობილი ბუნების ცოცხალი კუთხეები. აღნიშნულ სკოლებს სრულებით არა აქვთ მიწის ნაკვეთი.

უგეგმოდ მიმდინარეობს და შემთხვევითი ხასიათი აქვს სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე პრაქტიკულ მეცადინეობას ქ. თბილისის მე-7, მე-10, წალკის რაიონის ჯინისის, მოლოტოვის და გუმბათის საშუალო და ლენტეხის რაიონის სასაშის რვაწლიან სკოლებში. აღნიშნულ სკოლებს არ გააჩნიათ სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობისათვის საჭირო სათესლე მასალა, მინერალური სასუქები, შხამ-ქიმიკატები, მოსწავლის ასაკისათვის შესაფერისი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. მოუგვარებელია ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა სკოლაში.

ლენტეხის რაიონის ჩოლურის საშუალო სკოლის მოსწავლეებს (მასწ. გ. გასვიანი) წარმოდგენა არა აქვთ მცენარეთა სასიცოცხლო პირობებზე, მოსავლიანობის გადიდების საშუალებებზე, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებზე. მასწავლებელი სწავლების პროცესში არ იყენებს თვალსაჩინოებას. ამ სკოლის ბიოლოგიის მეორე მასწავლებელი ვ. ონიანი სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობის საათებს თეორიული მასალის შესასწავლად იყენებს. ამით არის გამოწვეული, რომ მისმა მოსწავლეებმა არ იციან პრაქტიკულად ისეთი პროგრამული საკითხები, როგორიცაა ნიადაგის დამუშავებისა

და თესვის წესები, თესლის ღირსების გაუმჯობესების საშუალებანი, ნიადაგის განოყიერების წესები და სხვ.

სუსტად ემზადება გაკვეთილებისათვის ქ. თბილისის [illegible] საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი ქ. თენეიშვილი. ზოგჯერ იგი იძლევა მცდარ განმარტებებს, არ აქცევს ყურადღებას მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება მე-7, მე-10, 36-ე, 41-ე, 78-ე, 87-ე, 96-ე საშუალო სკოლებში. ამ სკოლებში თავის სიმაღლეზე არ დგას ზეპირი და წერითი გამოთვლებისა, მიახლოებითი გამოთვლებისა, ცხრილებით, ცნობარებით და სანგარიშებით სარგებლობის ჩვევების დანერგვის საქმე. არაა გამოყენებული თვალსაჩინოებისათვის საჭირო საშუალებანი, არ მუშაობენ გეომეტრიული სხეულების მოდელირებაზე, გეოდეზიური ხელსაწყოიარაღების დამზადებასა და მათ გამოყენებაზე; მოსწავლეებს არ ავარჯიშებენ თვალზომის განვითარებაზე, საყოფაცხოვრებო ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე, ზომა-წონის საკითხებზე და სხვა.

41-ე, 39-ე, 96-ე, 87-ე, 67-ე საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლები არ იცნობენ ახალ პროგრამებსა და მითითებებს სწავლების ახლებურად გარდაქმნის შესახებ და მეთოდურ მითითებებს წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ არითმეტიკაში I—IV კლასებში.

78-ე საშუალო სკოლაში, სადაც 13 დაწყებითი კლასია, შემოწმების დღისათვის სასწ. ნაწ. გამგეს ამხ. ე. ტიტელს მოსმენილი ჰქონდა მხოლოდ 1 გაკვეთილი მე-3 კლასში და 1 გაკვეთილი მე-4 კლასში; 96-ე და 41-ე საშუალო სკოლების სასწ. ნაწილის გამგეებს ამხ. ე. ე. ბოროდიუკოვს და ამხ. ვ. სენიუტენსკაიას შემოწმების დღის არ აღმოაჩნდათ არც ერთი მოსმენილი გაკვეთილის ანალიზი.

გეოგრაფიის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის სათანადო პირობები არ არის შექმნილი ქ. თბილისის მე-7, მე-10, 24-ე, 31-ე, 36-ე და 58-ე საშუალო სკოლებში. ზემოჩამოთვლილ არცერთ სკოლაში არ არის გეოგრაფიის სპეცია-

ლური კაბინეტი. არა აქვთ რუკები და პრაქტიკული ვარჯიშე-ბისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები.

ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლაში (მასწ. ა. [illegible]) 3—4 წლის წინათ შეძენილი რუკები დღესაც გაუკრავია ქსოვილზე და გამოუყენებლად ინახება კარადაში. ამ სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი სისტემატურად არ აწარმოებს მოსწავლეთა ვარჯიშს კონტურულ რუკებზე და გეოგრაფიულ ატლასზე.

ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლის (მასწავლებლები: ნ. ზერეკიძე, მ. ზერეკიძე) გეოგრაფიის კლას-კაბინეტი ღარიბია ხელსაწყო-იარაღებითა და რუკებით. რაც არის ისიც მოუვლელი და გამოუყენებელია. ამ სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლები გაკვეთილებზე შეუფერებელ რუკებს იყენებენ. მაგალითად, VIII კლასში მასწავლებელმა დაწყებითი სკოლისათვის განკუთვნილი რუკა გამოიყენა. ამ სკოლის მოსწავლეები გაცნობილი არ არიან ატლასზე და კონტურულ რუკებზე მუშაობას, არ იცნობენ კარტოსქემების და კარტოდიაგრამების შედგენის წესებს, სუსტად ერკვევიან რუკაზე, არადამაკმაყოფილებლად აქვთ ათვისებული გავლილი პროგრამული მასალა.

სუსტად არის დაყენებული ხელგარჯილობის სწავლება. ხელგარჯილობა არ ისწავლება ქ. თბილისის კალინინის, კიროვის, 26 კომისრის რაიონების უმრავლეს სკოლებში. სკოლებს არ აქვთ ხელგარჯილობის გაკვეთილზე მუშაობისათვის საჭირო მასალა, ხელსაწყო-იარაღები და სხვ.

კიდევ უფრო დაბალ დონეზე დგას სასწავლო სახელოსნოებში მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობის საქმე. სკოლებს არ გააჩნიათ სასწავლო სახელოსნოები. ამ საქმეში სუსტია საშეფო ორგანიზაციების დახმარება სკოლებისადმი.

სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე პრაქტიკულ მეცადინეობას მნიშვნელოვანი ხარვეზები ახასიათებს შესწავლილ სკოლებში. ქ. თბილისის სკოლები, რომელთაც არ აქვთ სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, არ იყენებენ იმ შესაძლებლობას, რომელიც ამ მხრივ ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურს გააჩნია. ქ. თბილისის, წალკას, ბოლნისის და ლენტეხის რაიონების საშუალო და რვაწლიან სკოლებს არ აქვთ მოსწავლეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაკისათვის შესაფერისი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი,
სათესლე მასალა, შხამ-ქიმიკატები, მინერალური სასუქ
და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებათა გამგეებმა (
შვილი, ლ. პოზოვი, რ. ფოჩიანი, ა. სტეფანია):
ა) ყველა ღონისძიება გაატარონ სკოლების სასწავლო-მა-
ტერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის. ქმედითი დახმარე-
ბა აღმოუჩინონ სკოლებს კაბინეტებისათვის ბინის შერჩევის.
ხელსაწყო-იარაღებით შევსებისა და კეთილმოწყობის საქმე-
ში. მოკლე ვადაში მიაღწიონ იმას, რომ არცერთი სკოლა არ
დარჩეს სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გარეშე, იზრუნონ
სკოლებთან სასწავლო სახელოსნოების მოწყობისათვის და
ხელგარჯილობის სწავლების პირობების გაუმჯობესებისათვის;
ბ) იზრუნონ სკოლებსა და წარმოებას შორის კავშირის
განმტკიცებისათვის. ფართოდ გამოიყენონ საშეფო ორგანიზა-
ციების დახმარება სკოლებისათვის. ხელი შეუწყონ სკოლე-
ბის გეგმაშეწონილ სასწავლო ექსკურსიების ჩატარებას წარ-
მოებებსა და სხვადასხვა ობიექტებზე;
გ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ფიზი-
კის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ხელ-
გარჯილობის სწავლებისადმი და სასწავლო-საცდელ ნაკვე-
თისა და სასწავლო სახელოსნოებში მოსწავლეთა პრაქტიკული
მეცადინეობისადმი. სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების
განხორციელების გამოკვლევის შედეგების განზოგადება
მოახდინონ სისტემატურად;
დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანება-
ში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებსა და სკო-
ლის ხელმძღვანელებს, დაეხმარონ მათ და თუ ისინი სათა-
ნადოდ ვერ გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას დააყენონ საკითხი
განათლების სამინისტროს წინაშე მათი განთავისუფლების
შესახებ;
ე) პოლიტექნიკური სწავლების საქმეში მასწავლებელთა
დახელოვნების მიზნით უზრუნველყონ გეგმით გათვალისწი-
ნებული საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნების

მასწავლებელთა მივლინება მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, გეოგრაფიის სწავლებისა და სასწავლო სახელოსნოებში [illegible] პრაქტიკული მეცადინეობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად შესაფერისი ბინები შეურჩიონ სასწავლო კაბინეტებს, შეავსონ ისინი საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, მოაწყონ სკოლასთან სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, სასწავლო სახელოსნოები, მარტივი მეტეოროლოგიური სადგურები და უზრუნველყონ ისინი სასწავლო მასალითა და ხელსაწყო-იარაღებით. შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკები ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ლიტერატურით;

ბ) პოლიტექნიკური სწავლების წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე და დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის;

გ) მოსწავლეებში პრაქტიკულ ჩვევათა დანერგვის მიზნით გააუმჯობესონ ტექნიკური, აგროქიმიური და ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა სკოლებში, ამასთან ერთად ჩააბან მოსწავლეები ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალური სადგურებისა და პიონერთა სასახლის წრეებში სამუშაოდ;

დ) გააძლიერონ სკოლასა და წარმოებას შორის კავშირი. მიაღწიონ საშეფო საზოგადოების დახმარებას სკოლების სასწავლო კაბინეტების კეთილმოწყობის საქმეში. იზრუნონ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო ექსკურსიების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის ფიზიკასა. ქიმიასა, ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში;

ე) ქ. თბილისის 36-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ქ. ჭანიშვილმა 1955 წლის 1 თებერვლისათვის დაამთავროს სკოლაში სასწავლო სახელოსნოს მოწყობა და უზრუნველყოს მო-

სწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

ვ) ქ. თბილისის მე-7, მე-10 და 29-ე საშუალო სკოლების დირექტორმა ს. ბიბილეიშვილმა, მ. ნოზაძემ და მ. გიორგაძემ 1955 წლის 15 თებერვლამდე უზრუნველყონ სასწავლო-საცდელი ნაკვეთების და კვალ-სათბურების მოწყობა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ) ქ. თბილისის მე-10 და 58-ე საშუალო სკოლის დირექტორებმა მ. ნოზაძემ და ლ. სტურუამ ორი თვის ვადაში შეავსონ გეოგრაფიის კაბინეტები ყველა საჭირო რუკით და ხელსაწყო-იარაღით;

თ) ქ. თბილისის საშუალო სკოლების დირექტორებმა გამოიყონ სასწავლო-საცდელი ნაკვეთები ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ამ დანიშნულებისათვის განკუთვნილი მიწის ფართობიდან;

ი) ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. თ. მათიაშვილმა მოკლე ვადაში შეისწავლოს ქ. თბილისის დაწყებით სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და გაატაროს სწავლების გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებანი.

3. სასწავლო კაბინეტის მოუწყობლობისა და სწავლების პროცესში მათი არასათანადო გამოყენებისათვის მიეთითოს წალკის რაიონის გუმბათისა და ბოლნისის რაიონის არახლოს საშუალო სკოლების დირექტორებს კ. გაბისონიას და მ. ასლანოვს და წალკის რაიონის გუნიაკალისა და ბაშკოვის რვაწლიანი სკოლების დირექტორებს ვ. აივაზოვსა და ვ. მელიქოვს.

4. შინასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის სუსტად განხორციელებისათვის მიეთითოს 41-ე, 78-ე და 96-ე საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეებს ე. ტეიტელს, ვ. ბორდიუკოვს და ვ. სენოჟენსკაიას.

5. სწავლების არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის მიეთითოს: ფიზიკის მასწავლებლებს — მ. კატანოვას (წალკის რაიონის მოლოტოვის საშუალო სკოლა), ს. ენოხოვას, ს. ლიჯევს და პ. ბაიაზოვს (წალკის რაიონის ჯინისის საშუალო

სკოლა), ა. ბიბილურს (ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა), ვ. სვანიძეს და ს. მეტრეველს (ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლა), დ. ჩხაიძეს (ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა), ვ. ხახიაშვილს (ქ. თბილისის 70-ე საშუალო სკოლა), ... მოვას, ლ. გასპარიანს და ლ. ტერ-სარქისოვას (ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკოლა). ქიმიის მასწავლებლებს — თ. ჯანელიძეს (ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლა), ა. მახარაძეს (ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლა) თ. ბუიღლიშვილს (ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლა). ბიოლოგიის მასწავლებელს — ქ. თენეიშვილს (ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლა). მათემატიკის მასწავლებლებს — ტ. შულაიას (ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლა) და ნ. ბუაძეს (ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლა).

გეოგრაფიის მასწავლებლებს — ე. ზერეკიძეს და მ. ზერეკიძეს (ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლა), მასწ. ა. ძურძუკს (ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლა).

6. სასწავლო კაბინეტების მოუვლელობისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადებისათვის გამოეცხადოს საყვედური წალკის რაიონის ჯინისის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს ი. ტერსენოვს.

7. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენებისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის მოუვლელობისათვის გამოეცხადოს საყვედური წალკის რაიონის ჯინისის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ილიჯევს.

მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ ლენტეხის რაიონის სკოლებსა და ბოლნისის საშუალო სკოლაში არსებული მდგომარეობის შესახებ უკვე მიღებულია გადაწყვეტილება (იხ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1954 წლის 8 დეკემბრის № 5660 ბრძანება).

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

გადაეცა წარმოებას 20/I-55 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/II-55 წ., ანაწყობის ზომა 5,5×9, ქაღალდის ზომა 84×112, საბეჭდ ფორმათა რაოდენობა 3,25, სააღრიცხვო — საგამომცემლო — 2,1, საავტორო — 2.
უე 02032 შეკვ. № 116 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის გამომცემლობათა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

ფ. ფ. II/319

უფასო.

[illegible]

15/II 55 წ.